



# NOTRE PAYS

Revue mensuelle

Redac.: 14, cité Falguière - Paris 15

# საქართველო

ივნიანი — 1948 — JUIN

ქართულ ემიგრანტ მწერალთა და ჟურნალისტთა ორგანო.

## ს პ ი რ ვ ე ლ ი კ ე დ ი ა

ახლად გათხრილი საფლავის წინაშე, ძნელი ხდება ღირსეული დაფასება ისეთი პიროვნების, რომლის მოღვაწეობა მსახვალ წელთა მანძილზე საზოგადოებრივი ცხოვრების დიდ მოვლენებთან იყო გადაჯაჭვული. მახლობელ თანამე-

საძენლე არ არსებობს, ვინაიდან რაც მთავარია მათს მოღვაწეობაში; ის მკვეთრია, ნათელი და ადვილათ საცნობი მოპირდაპირებისთვის და თვით კეთილსინდისიერ მტრისთვისაც. სპირდონ კედისა მოღვაწეობა ასეთი ბუნებისაა.

როდესაც ქართველ ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა განიზრახა შესამოციანეთა თაობის აზროვნების და მოღვაწეობის საფუძველზე პოლტიკური პარტიის დაარსება, მან თავის მეთაურად სპირდონ კედია მოიწვია. ამ დასის კონსერვატიულ - პროგრესულ მსოფლმხედველობის მიხედვით ხალხთა პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრების მოწყობის სისტემა და გეგმა უნდა დაემყაროს ხალხური ცხოვრების ყველა საფუძველსა და ღირებულებებზე და არა მარტო ძველის დაწუნებისა და ახალის ძიების სულისკვეთებაზე. რაც ამ ქვეყნად ადამიანთა საზოგადოება გაჩენილა ამ ძველით უკმაყოფილობას და ახალის ტრფიასს მუდამ ჰქონია ადგილი, ვინაიდან ეს მისი ბუნების განუყოფელ თვისებას წარმოადგენს. მსოფლიო ისტორიის 5—6 ათასი წლის მანძილზე აღბეჭდილია ხალხთა ცხოვრების მოსაწყობი უამრავი სისტემები და გეგმები, და მათ შორის ყველა ის წყობა და იდეები, რომელთა შორის ჭიდილს ჩვენ ვხედავთ დღეს მთელი მსოფლიოს სერცხვზე, და რომელნიც სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელს ატარებდნენ. არც ერთი არ დამკვიდრებულა სამუდამოთ არც ერთი არ გამომდგარა უნაკლო და ყველასათვის მისაღები. ახალი მალე ძველი ხდებოდა და შემდეგ კიდევ ეს ძველი ახლდებოდა. ხოლო ცხოვრება ერთს წერტილზე არასოდეს იყინებოდა, ის ევოლიუციას განიცდიდა, და იშვიათად იმ გზით, რომელიც ამ ახალის და ძველის დამცველთა გეგმებში იყო ნაგულსხმე-



ბრძოლთ მწყობარების გრძნობა უშლის ხელს და მის მოღვაწეობასთან დაპირდაპირებულთ კიდევ უთანხმოებათა სიახლოვე, მაგრამ არიან ისეთი მოღვაწენიც, რომელთა შესახებ ასეთი



ვი, სადაც ცხოვრების ძველს ჩარჩობებში ჩაკეტვა განუზრახავთ, ცხოვრების მოძრაობას ეს კედლები მუდამ გაურღვევია, ხოლო სადაც მისი სრულიად ახალს კალაპოტში გადახედება უცდითაა, ესეც უღელური გამოიმდგარა. ცხოვრება ისევე ძველს კალაპოტს დაბრუნებია და იქედან თავისი გზა განუგრძნია, ახალი ცხოვრების ნაცვლად განახლებული ცხოვრება იქაუწყარებია.

ასეთი მსოფლმხედველობის ეროვნულ ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის საკმარისი არ იქნებოდა ისეთი პოლიტიკური მუშაობა, რომელსაც თანამედროვე პოლიტიკურ პარტიების უმრავლესობა აწარმოებს სხვადასხვა ქვეყნებში. მათი მუშაობის საგანია მართველობის აპარატის დაპატრონება და მისი შემწეობით პარტიულ პროგრამაში აღნიშნულ გეგმით ხალხის ცხოვრების გარდაქმნა. მაგრამ ამ მთავრობის აპარატის მოქმედება, და ხალხის ცხოვრებაზედ ზედგავლენა განსაზღვრულია. მის გარეშე რჩება პიროვნებათა და საზოგადოებრივ ერთეულთა თვითმოქმედების მნიშვნელოვანი სფეროები. საჭიროა პიროვნებიდან და ოჯახებიდან დაწყებული, ხალხურ ცხოვრების ყველა სფეროებში ცხოვრებაზე საღი შეხედულობის განმტკიცება და მათი თვით მოქმედების სწორს გზაზე დაყენება, აღმზრდელობითი მუშაობითა და პრაქტიკულ მოქმედების მაგალითებით.

ასეთს მიძიმე მემკვიდრეობას და რთულს გემას მოჰკიდა ხელი ამ ახალმა ჯგუფმა. როდესაც, 1915 წ. ამ ჯგუფმა ქუთაისიდან თბილისში გამიწვია ამ ახალი მუშაობისთვის, მე ის მომეჩვენა ისეთივე სტუდენტურ წრეთ, რომელიც მე ახლად დატოვებული მქონდა. ცხოვრებაში ახლად გამოსული, 24—32 წლის ახალგაზრდებს, მართალია ენერგიით სავსე და პატრიოტული გატაცებით აღვზნებულნი, ბასრი კალამი, და სპირდონ კედლას იზვიათი, ხან მქუხარე და ხან ლალად მომდინარე მჭერმეტყველება, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. მიძიმე საქმე და რთული გეგმა მოითხოვდა აგრეთვე ცხოვრების ცოდნას, გამოცდილებას, სახელებს და ავტორიტეტებს. მალე დავინახე რომ ასეთს აზრს სავსებით იზიარებდა ეს ჯგუფი. უფროს თაობის მოღვაწეებთან დაკავშირების ცდებიც მქონდა ვაკეთებულნი, მაგრამ ჯერ ხნობით ეს საქმე უმთავრესად საგაზეთო მუშაობით განისაზღვრებოდა. ამ ახალს საქმეში ავტორიტეტებისათვის ფართედ კარების გაღება ყველაზე უფრო ამ ჯგუფის ახალგაზრდა მეთაურს შეეხებოდა. სპირდონ კედლას თავიდანვე აღებულნი მქონდა ის

გეზი, რომელიც შემდეგ სისრულით განხორციელდა.

ილია ჭავჭავაძის თაობის ერთი დიდი ბოძი კიდევ ფეხზე იდგა. ეს იყო ნიკო ნიკოლაძე. ამ დროს ის თბილისში ჩამოვიდა, მე მას ვეახლე და ახალი საქმის ვითარება გავაცანი. მან მიპასუხა — ფიქრი ნუ გაქვთ, გაბედულათ განსაგრძეთ თქვენი გზა. ჩვენს თაობას გაცოლებით უფრო ცუდს პირობებში მოუხდა მუშაობის დაწყება. მაგრამ ხაზი სწორი იყო და თანდათან ჩვენს მუშაობაში ჩაება უფროსი თაობა და ახალგაზრდობის ფართე წრეები. რასაკვირველია, ცხოვრების ცოდნა და გამოცდილება ეროვნული მოქმედების ასპარეზზე ისევე საჭიროა, როგორც საღი იდეა და ახალგაზრდული ენერჯია, მაგრამ ამ ახალის დაწყებაში ეს უკანასკნელია მთავარი. ვინ იცის როგორ დამთავრდება ეს ომი. თუ ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობის საკითხი დაგვიდგა, მაშინ თქვენც მეტი გამოცდილება გექნებათ, და თქვენს მუშაობაში უფროსი თაობიდანაც მრავალნი იქნებიან ჩაბმული. შეგფიქრობ, ისინი აქედანვე დაიწყებენ თქვენთან მუშაობას და თქვენც მათ უნდა მიემხელოთ მათი მოქმედების საჩბიელზე.

ნიკო ნიკოლაძის ასეთი სიტყვები, რასაკვირველია, მეტად გამამხნეველები იყო ჩვენი ჯგუფისათვის. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მძსტუმრეთ და ს. კედლამ მას, ჯგუფის სახელით, ორგანიული თანამშრომლობა სთხოვა. ნ. ნიკოლაძემ თავის ხნოვანობაზე მიგვითითა, მაგრამ დახმარება დაგვიბრდა. მეორე თუ მესამე დღეს ერთი ფეხით ძლივსშევასწარით რედაქციაში. ნ. ნიკოლაძემ დილის რვა საათზე „მეიოლო რედაქციის კარები, რედაქციის წევრებს გაეცნო და საუბარი დაგვიწყო. ეს იყო ვრცელი ლექცია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებაზე და პრესის წარმოების წესებსა და ტენიკაზე. სტამბიდან წამდაუწყუმ მასალებს ვთხოვდენ, ხოლო ჩვენ ადგილიდან არ ვიძროდით და ეს გაგრძელდა 11 საათამდე. მეორე დღეს ჩვენი ვახეთი „საქართველო“ მეტად მდარე იყო შინააჩრსით, ხოლო ჩვენ შეძენილი გვქონდა ახალი ძალა, იმედინობა და დაკვირვება, რომლის შეძენისათვის ჩვენ მრავალი წლის მუშაობა დაგვჭირდებოდა.

ნიკო ნიკოლაძის პროგნოზი გამართლდა. უფროსი თაობის ფართე წრეები მალე ჩაებენ ამ ახალს მუშაობაში და თვით პარტიის დაფუძნებისათვის ნაწარმოებ ორგანიზაციულს საქმეში. ჩვენც მათ მივამხელოთ ახალი ძალები კულტურ



რულ და ეკონომიურ საქმიანობის, ასპარეზზე, პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე ეს სამი თაობა იყო წარმოდგენილი. პარტიის თავმჯდომარეთ სპირდონ კედის იყო არჩეული და საპატიო თავმჯდომარეთ — ნ. კო ნიკოლაძე, ასევე, გარეგებული იყო ეს თაობები შემდეგ ეროვნულ საბჭოში, პარლამენტსა და დამფუძნებელ კრების ფრაქციებში და საპარლამენტო ლიდერად გიორგი გვაზავა იყო არჩეული. ივერიის ეკლესიის აღდგენის საქმეში ჩვენი მცხოვანი მღვდელთმთავარი ამ წრესთან თანამშრომლობდენ. სასოფლო მეურნეობის და ქალაქის მწარმოებელთა კავშირებს და მათი პალატების დაარსების საქმეს ახლები და უფროსები ერთად აწარმოებდენ. ერობისა და ქალაქის მუნიციპალიტეტებში უფროსი თაობის გამოცდილი მოღვაწენი იყრიდენ თავს.

1920 წელს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას შეუერთდენ ეროვნული პარტია, რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია და აკადემიური კავშირი, რომელსაც მეთაურობდენ პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, კოტე აფხაზი და ზურაბ ავალიშვილი. ამით დასრულდა ყველა ქართულ კონსერვატიულ-პროგრესიულ ძალების ერის პოლიტიკურ დარაზმულობაში გაერთიანება და იმავე წლის დეკემბერში ამ გაერთიანების ყრილობა შესდგა. ერთი თვის შემდეგ საქართველოს საბჭოთა რუსეთის ჯარები შემოესია და საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა შეწყდა.

ჩვენი ერის წინაშე დადგა, ჩვენი თაობებისათვის ახალი, მაგრამ ჩვენს წარსულში მრავლად ხილული, გარემო მტრის განდევნისათვის ბრძოლის წარმოების საკითხი. ხოლო ეს ბრძოლა მო-

ითხოვდა უფრო ფართე გაერთიანებას, ვიდრე ეს შეეძენით ჩვენ შინაური სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის. საჭირო იყო ერთობა და კავშირი იმ ძალებთანაც, რომლებთანაც ჩვენ დაპირდაპირებული ვიყავით შინაურს პოლიტიკაში. სპირდონ კედისა და მის თანამებრძოლთ ყოყმანი არ გამოუჩენიათ. ეროვნული ფრონტი შეიქმნა და ყველა ქართული ძალები ერთი დროით მის ქვეშ მოექცენ. სპირდონ კედის შეუდგა ამ ახალი ბრძოლის გზას, რომელიც 27 წელი ვრძელდება. მან განვლო სახიფათო გზები ფარული მუშაობისა, ციხე, სამშობლოსა და ოჯახს მოწყვეტა, უცხოეთში დევნილობა, მძიმე შრომა, მუდმივი გაჭირვება, მრავალი ზნეობრივი დამცირება. ჯანმრთელობამ უღალატა, დასნეულდა, მაგრამ არ გატყდა; სულიერი სიმტკიცით სხეტლებრივ სისუსტეს სთოკავდა და მძიმე მოვალეობის ტვირთ ქვეშ მოხრილი, თავ ჩაღუნული, ჩაფიქრებული განაგრძობდა ჩვეულებრივ მძიმე ნაბიჯით ქართულ გოლგოთის გძელ გზას; ამ მძიმე ტვირთის გადავდება, წამების გზიდან გადახვევა არასოდეს უფიქრია, დასუსტებულ ხელიდან ეროვნული დროშა არ გავარდნია, ის ოდნავდაც ძირს არ დაუშვია...

ასე განვლო სპირდონ კედიამ თავისი ცხოვრების გზა და დღეს მან საქართველოს ისტორიის კარები შეაღო. იქ მას დახვდება საქართველოს მატთანეს დიდი, მისთვის საყვარელი, სახელები, და ადგილი, რომელიც მისთვის მისი ჭაბუკობის დროიდან იყო გამზადებული, 1917 წლის თარიღით და წარწერით: სპირდონ კედი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თავმჯდომარე.

ა. ა. ასათიანი

### სპირდონ კედი

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ოცდაათი წლის თავს ვეღარ მოესწრო და უდროვით ჩაჰქრა სამშობლოს ხატის წინ ანთებული წმინდა სანთელი, სწორედ იმ დროს, როდესაც წყვედიანით მოცულ საქართველოს თავისუფლების გზით მიმართულ მესმრძოლ ძალებს მეტად გვჭირდებოდა მისი შუქი. ამ მძიმე ეპოქაში დავჰკარგეთ კაცი დიდი და ღრმა ქართული ბუნების, ქართული შეგნების, ქართული განცდის, რომლის არსებობის მთავარი ლერძი ერი და სამშობლო იყო, რომლის სიცოცხლე საქართველოთი დაიწყო და სამშობლოს გარეთ საქართველოთივე დამთავრდა. სპირდონ კედისა,

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ერთერთი მეთაური იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი ქართველი ერი. მოპოვებული დამოუკიდებლობის ხელახლათ დაკარგვის შემდეგ ის, როგორც ერ. დემ. პარტიის ხელმძღვანელი მის ახლო თანამშრომლებთან ერთად სამშობლოში რჩება და ახალი ეროვნული ბრძოლისათვის დარაზმულობას, სხვებთან ერთად, საფუძველს უყრის — ეროვნული ბრძოლის პოლიტიკური ცენტრის დაარსებით. ის ერთერთი მთავარი ინიციატორია სამხედრო ცენტრის დაარსების საქმის. მისივე შთაგონებითა და ბრძოლის გეგმით გაიჭრა ტყეში და შეფიცულთა რა-



უში შექმნა ქ. ჩოლაყაშვილმა. მტერმა იგ. სა-  
 მშობლოსა და ერს მოსწყვიტა და ევროპაში გა-  
 დმოასახლა, რომ ამით ჩვენს ეროვნული ბრძო-  
 ლა შეესუსტებია. ემიგრაციაში უკვე შექმნილი  
 და დამყარებული პოლიტიკური ჰავა ხელს არ  
 უწყობდა ამ დიდი ბუნებისა და შეგნების ქა-  
 რთველის აზრისა და გეგმის განხორციელებას.  
 მისი ბუნება ვერ ეტეოდა იმ ზეკლასიური, ერო-  
 ვნული პარტიის ფარგლებშიაც კი, რომლის თავ-  
 მჯდომარე თვით იყო. ეროვნული თავისუფლე-  
 ბის მოპოვებისათვის მას საკმაოდ არ მიაჩნდა  
 პოლიტიკურ პარტიათა ხელოვნური ურთიერთ-  
 კავშირი. მას ღრმათა სწამდა და ქადაგებდა ქა-  
 რთველთა ორგანიზაციულ-სულიერსა და სხეულე-  
 ბრივს ერთობას. სპირდონ კედიას არასოდეს გა-  
 დაუხრია მის მიერ თავიდან აღებულ ეროვნულ  
 ბრძოლის ხაზიდან. ყოველ საკითხსა და საქმეს ის  
 ქართულის თვალთა და აზრით უდევებოდა. მის  
 უაღრესათ მჭერმტყველ ტკბილ ბაგეთაგან გა-  
 მოსული ყოველი აზრი, მისი ქართული გონების  
 ნაყოფი, მისი ქართული ცხელი გულით გამთბა-  
 რი, ხიბლავდა და იზიდავდა მსმენელს. სპი-  
 რდონ კედია ის ცოცხალი ეროვნული ემბლემა  
 იყო რომლის ნიშნის ქვეშ საქართველოს თავ-  
 ვისუფლებისათვის მოქმედებდა და იბრძოდა მი-  
 სი მიმართულებების ახალგაზრდობა. ასეთ ემბლე-  
 მათვე დაჩქება ის ჩვენთვის. ამა ქვეყნად ჩამქრა-  
 ლი, სამშობლოს ცაზედ შეუქურ ვარსკვლავად  
 აინთება, რომ ბნელით მოცული ნაპრალებზედ  
 მიმავალი ეროვნული ბრძოლის ბილიკი გავა-  
 ნათოს, რათა სიფრთხილითა და ქართველთა ძა-  
 ლების დახოგვით მივიღწიოთ „აღთქმულ ქვე-  
 ყანამდე“.

ის კვლავ გუშაგობს ქრსა და სამშობლოსათვის  
 მებრძოლ ძალებს. ელ. პატარიძე

**სპირდონ კედიას დასაფლავება**

მაისის 17-ს, ორშაბათს, დილის 11 საათზე და  
 20 წუთზე კლამარში საკუთარ ზინაზე, მოკლო-  
 დნელათ — სისხლის დაწოლით — გარდაიცვა-  
 ლა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ლიდერი  
 და დამფუძნებელი კრების წევრი სპირდონ კე-  
 დია. ეს სამწუხარო ამბავი ელვის სისწრაფით  
 მოედო პარიზის ქართველთა კოლონიას და  
 ევროპაში გაფანტულ ქართველობას და მთელი  
 ქართველობა, განურჩევლათ მათი პოლიტიკური  
 მიმართულებისა, ღრმა მწუხარებამ მოიცვა. გა-  
 ნსვენებულის დაკრძალვა დაობლებული ერ.  
 დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის კომიტე-  
 ტმა იკისრა. მის დასაფლავებას ეროვნული ხასი

ათი მისცა. მოიწვია ქართულ პოლიტიკულ  
 რტიათა, საზოგადოებრივ და კულტურულ და-  
 წესებულებათა წარმომადგენლები და მათგან  
 დასაფლავებელი კომისია შექმნა ვ. ლამბაზიძის  
 თავმჯდომარეობით. ძვირფასი ქართველის ცხე-  
 დარი გადასვენებული იქნა პარიზის ქართულ  
 ეკლესიაში, ქართულ ეროვნული დროშა ამკო-  
 ბდა მის კუბოს, რომელსაც მის მიერ პოლიტი-  
 კურად აღზრდილი ახალგაზრდანი მორიგე  
 ობით სდარაჯობდნენ. დაკრძალვის დღეს მისი  
 ცხედარი მგონობიარე ქართველთა ხელით მო-  
 ტანილ ვარდ-ყვავილთაგან დაწულ გვირგვინე-  
 ბში ჩაიძირა. გვირგვინები მიუძღვნეს: პარიზის  
 ქართველთა კოლონიამ, ეროვ. დემოკრ. პარტი-  
 ამ, სოც. დემოკრ. პარტიამ, მწერალთა კავში-  
 რმა, ქალთა კომიტეტმა, მწიბვლთა კომიტეტმა,  
 შეფიცულთა წრემ, „ეთერი გიორგიმ“ და მრ-  
 ეალმა მეგობარმა. წირვასა და პანაშვილს რომე-  
 ლთაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო ამკო-  
 ბდა ქართული გაძლიერებული გუნდი. ეკლესი-  
 დან მიცვალებული მისვენებული იქნა St. Ouen  
 -ის სასაფლაოზე სადაც თითქმის მთელმა ქა-  
 რთველთა კოლონიამ მიაცილა საგანგებო ოტო-  
 კარებითა და ჯერძო მანქანებით. ცხედარი და-  
 სვენებული იქნა ეროვნული გვირის ქ. ჩოლა-  
 ყაშვილისა და შ. ამირჯიბის გვერდით, სადაც  
 სიტყვები წარმოსთქვეს: ერ. დემ. პარტიის სახე-  
 ლით ბ. რ. გაბაშვილმა და ე. პატარიძემ; ბ. ა.  
 ჩხენკელმა, კოლონიის სახელით გამგეობის თავ-  
 მჯდომარემ ბ. შ. სკამკოჩაშვილმა, მწერალთა  
 კავშირის სახელით ბ. გრ. ურატაძემ, ს. ს. დ. პ.  
 სახელით რ. არსენიძემ, ბ. კ. სალიამ, ი. ვობში-  
 ამ და ახალგაზრდა პოეტმა დ. ყურულაშვილმა.

დამსწრე საზოგადოების უღრმესი მწუხარები-  
 თა და თანაგრძნობით და გულდამწვართა საე-  
 რტო ქვითინითა და ქართული გუნდის მწუხა-  
 რე ვალობით მივებარეთ მისი სამშობლოს მი-  
 წის მონატრული დიდი ქართველი სპ. კედია  
 დროებით საფლავს საიდანაც ივნისის 25 პარ-  
 სკევს, გადასვენებული იქნა ლევილის ქართვე-  
 ლთა სასაფლაოზე. X

ქ. სოფ. კედისი, თეო კედია და სსქ. ე. დ. პა-  
 რტიის პარიზის კომიტეტი ურჩმეს მადლობას  
 უცხადებენ ქართულ საზოგადოებას, რომელთაც  
 კეთილ ინებეს პირადათ დასწრებით მონაწილე-  
 ობა მიიღეს ან წერილობით თანაგრძნობას გამო-  
 უცხადეს პირველთა ოჯახის მამისა და მეორე  
 თათვის პარტიის თავმჯდომარის სპირდონ კე-  
 დიას გარდაცვალების გამო..



უკან მიხედვით

დასასრული \*)

პირველი ადგილი ამ რეფორმებში უჭირავს აგრარულ რეფორმას. ამ სფეროში მოხდა დიდი მამულების ჩამოჭრთმევა შებატონეთავან, გაზღვრული ნორმის ზევით, და მათი გლახებისათვის კერძო საკუთრებათ დარიგება, თუმცა პარტიისთა პროგრამებში ზოგს მუნიციპალიზაცია ქონდა ვათვალისწინებელი, ზოგს სოციალიზაცია.

სოც. დემოკრატიული პროგრამა მოითხოვდა მუნიციპალიზაციას, ე. ი. ჩამოერთმეული მიწების თვითმართველობებისთვის გადაცემას, მაგრამ როცა საქმე პრაქტიკულ განხორციელებაზე მიდგა, ერთბაშად ვიგრძენით უხერხულობა და შეუფერებლობა ამ პროგრამული მუხლისა ქართული სოფლის მეურნეობის რეალ სინამდვილესთან. ხალხისთვის უფრო ადვილი გასაგები და უფრო მისაღები იყო კერძო საკუთრებათ ე. ი. შეჩვეულ ფორმებში, მიწის დაბატონება. და რადგან ის არ ითვლებოდა სოციალისტური პრინციპების დარღვევით, პროგრამის მუხლი ადვილათ იქნა გადალახული და სოც. დემ. ფრაქციამ, მახსოვს, მცირე კამათის შემდეგ ერთხმად დაადგინა ქართულ სინამდვილეს გაყოლოდა...

მაგრამ რეფორმა გატარდა სოციალისტების ზელობით და მას უტკველათ დაედგა სოციალისტური ელფერი. მიწის ნორმა დაუტოვეთ ძველ მესაკუთრეთ, დაუბრუნეთ ახალთ იმ ანგარიშით, რომ შრომით თავი გადატანათ, ხოლო სხვისი შრომის ექსპლოატაციისთვის ის გამოდგომოდით. ამ რიგით საკუთრებამ მიიღო შრომითი საკუთრების ფორმა და მიწა გახდა იარაღი შრომელის და არა იარაღი მისი ექსპლოატაციის.

კომუნისტები მამშინ ამას წუნს სდებდენ. ნაციონალიზაცია მთელი მიწების მიამჩნდათ ერთად ერთ რევილუციური ღონისძიებათ. მაგრამ აი 25 წლის შემდეგ ტარდება აგრარული რეფორმები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. მოსკოვის ბატონებმა ყურები გამოგვიჭედეს მათი ქებით. ამ რეფორმას ადგილობრივი კომუნისტები და მოსკოვის ემისრები აწარმოებდენ. და რას ვხედავთ? ნაქები რუსული ნაციონალიზაცია არავის გახსენებია. ყველგან, რუმინეთში, ბულგარეთში, პოლონეთში, ჩეხიაში და თვით გენ. ტიტოს იუგოსლავიაშიც კი ერთი წესით და ფორმით იქნა მიღებული ის სისტემა, რომელიც საქართველოში

იყო ჩვენგან განხორციელებული. ყოფილ მსხვილ მემამულეებს დაუტოვეს საკუთრებათ განსაზღვრული ნორმა—20, 30, ზოგან 50 ჰექტარი, (ჩვენში ნორმა იყო 7—10 და 15 დესეტინა) ხოლო ჩამოერთმეული მიწა დაუბრუნდა გლახობას და უმინაწყო სოფლის მუშებს.

ამ რიგით მოსკოვმა ჩვენში დაიწუნა, ხოლო როცა ოდნავ უფრო კულტურულ ქვეყნებთან დაურჩა საქმე, ისე ჩვენგან ისეხსნა დაწუნებული და ის საუკეთესო პროგრამის ნიმუშათ გამოიტანა. \*\*) (ხალხია, ის არც რეაქციონური ყოფილა. არც უფარგისი, არამედ ყოფილა კულტურული და ევროპულ ურთიერთობისთვის შესაფერი, ისე, როგორც იყო შესაფერი საქართველოსთვის.

წარმოების დარგში ჩვენ მივიღეთ სისტემა კერძო ინიციატივის გვერდით საზოგადოებრივი ინიციატივის გაძლიერების: ტყე, მდინარეების ძალა და მადნეულობა ე. ი. ბუნებრივი სამრეწველო მასალა გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებათ, და დამუშავებაში შეტრეული სისტემა—კერძო პირთა და სახელმწიფოს მონაწილეობა („ჩემო“ ქიათურაში) იქნა მიღებული. ამავე დროს ფართო ასპარეზი მიეცა ერთბაშად და ქალაქთა თვითმართველობების თუ მათი კავშირების ეკონომიურ საქმიანობას. ტრესტები და კარტელები ჩვენში არ არსებობდა, არც მსხვილი განსაზოგადოებრივებლათ მომწიფებული წარმოება გვექონდა. ხოლო წვრილ წარმოების ნაციონალიზაცია მხოლოდ მთავრობის პოლიტიკურ ბატონებას და დიქტატორულ ტენდენციების გამარჯვებას შეუწყობდა ხელს. ამიტომ წვრილი წარმოება ხელუხლებლივ დატოვეთ. ხოლო მის გვერდით საზოგადოებრივი ინიციატივის გაღვივებას ვუწყობდით ხელს.

ჩვენი მიზანი იყო ხალხი თვით შეჩვევოდა კოლექტიურ მეურნეობის წარმოებას, მრეწველობის მოწყობას არა მოგების კერძო ჯიბეში დასაგროვებლად, გვინდოდა ხალხი აღ-

\*\*) ჩვენში კომუნისტებმა შემოსვლისთანავე დაანგრის მიღებული აგრარული რეფორმა და გლახების მთელი მიწები სახელმწიფოს საკუთრებათ გაიმეორებენ ტოტალიტალური დიქტატურის სოფელში გასატარებლათ. თუ დრო დაურჩათ, ამ სიველურეს აღმოსავლეთ ევროპაში თრებათ გამოაცხადეს. ეს სჭიროდათ დიქტატურის სადღეგრძელოთ.

\*) დასაწყისი იხ. „ჩვენი ქვეყანა“ № 4



ზრდილიყო სოციალურ მეურნეობის სკოლაში თვითმოქმედებითი და არა პოლიციური ზომებით და იძულებით. მეორე მიზანი იყო ის, რომ საზოგადოებრივ წარმოებისთვის შექმნილიყო განსაკუთრებული აპარატი, გარეშე პოლიტიკური ცენტრალური ხელისუფლებისა, რომელსაც რჩებოდა ფუნქცია საერთო ხელმძღვანელობის და არა თვით წარმოების მოწყობა-მოწყობის უწყვეტობაში უწყვეტობა ჩაუყენეს. ამ რიგით საზოგ. წარმოება რჩებოდა ავტონომიურ, ეკონომიურ ორგანიზაციების ხელში და მამასადამე უზრუნველ ყოფილი იყო თავისუფლება საზოგადოების და ადამიანის—და მასთან ერთად ინტერესები მომავალი განვითარების, რომელიც ჩვენ სოციალისტურ წესების საბოლოო გაბატონებაში გვეტეულებოდა

\*\*\*

ამავე მიზანს ემსახურებოდა საქართველოს კონსტიტუციური წყობილებაც. სათქმელი ამ საგნაზეც ბევრია, მაგრამ უადგილობის გამო მოკლეთ უნდა მოგვჩაათ. ბევრი ჩვენს კონსტიტუციაში წამოყენებული ძირითადი დებულებები, როგორც მაგ. მთავრობის შედგენის და პარლამენტის მთავრობის, კრედიტის კანონმდებლობაში, თვითმართვლობათა ფართო უფლებებით აღჭურვა, შრომის უფლების აღიარება, ქალის და კაცის სრული თანასწორობა უფლებრივად და მოქალაქეობრივად, ე. წ. უკანონო და კანონიერ შიგნით სრული გათანასწორობა, კერძო საკუთრების შეზღუდვა საერთო ინტერესებით და სხვ. დღეს ბევრ ევროპის მოწინავე ქვეყნების, როგორც მაგ. საფრანგეთის კონსტიტუციებშია მიღებული ან განხორციელების გზაზე შემდგარი. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია იგი მოწინავე ევროპის დემოკრატიულ კონსტიტუციებს გვირდნოთ ამოუყენოთ. საბოლოო ტექსტი ჩვენი კონსტიტუციის მივიღეთ გვიან, დამოუკიდებლობის უკანასკნელ დღეებში, მაგრამ მისი პრინციპები წინასწარ იყო ცხოვრებაში გატარებული. ერთბაშად, თუმცა, ქალაქის თვითმართვლობას მეტ რეალურად უფლებები ქონდა ჩვენს სინამდვილეში, ვინემ რომელიმე საკავშირო რესპუბლიკას საბჭოთა კავშირში. თვითმართვლობა პარლამენტარული იყო არა უმადლეის მართვლობის წინაშე, არამედ თავის ამრჩევლების წინაშე, კანონის დარღვევისა და უფლების გადაჭარბების შემთხვევაში მათ დადგენილებას აუქმებდა მხოლოდ სპეციალური, ადმინისტრაციული სასამართლო და არა მთავრობა. ამნაირად უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნოდა კა-

ნონს და ხალხს, ამრჩევლებს და არა ხელისუფლებას. ხალხი იყო სუვერენი, ხოლო მართვლობა მისი ნების ამსრულებელი. ე. ი. სრულიად წინააღმდეგი იმის, რაც ხდება საბჭოთა დიქტატურაში.

არ შემოძლია გაკვირით არ აღენძნო აქვე რომ, ამ თავისუფლების სამ წელში გაშალა ფრთები ქართულმა ხელოვნებამ: ჩაეყარა საფუძველი ქართულ ოპერას—დაწერა და დაიდგა „აბესალომ და ეთერი“ და „მთა რუსთაველი“. გადმოითარგმნა მრავალი ოპერები ევროპიული ენებიდან, განახლდა ქართული თეატრი. ამავე ხანებს ეკუთვნის თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, რომლის ავტონომიური სტატუსი ი. ჯავახიშვილის შემუშავებული, პარლამენტისაგან იქნა დამტკიცებული. ამ რიგით პოეზიას დაერთო მეცნიერებაც... — მოხდა სრული გაქართულება სკოლების და ყველა სახელმწიფო დაწესებულებების. ერთი სიტყვით ქართველი ერი შეიძინა ყველა იმ ატრიბუტებით, რომელიც თავისუფალ კულტ. ერს ახასიათებს.

სამი წლის მანძილზე ამ სახელმწიფოებრივ და ეკონომიურ საქმიანობის საბოლოო შედეგების მკაფიოდ გამოვლინება შეუძლებელი იყო, და არ მინდა ვიწინასწარმეტყველო რას მოიტანდა იგი—თუმცა ვფიქრობ, ეს სისტემა სავსებით შეეფერებოდა ჩვენი ერის სოც. წყობას და მის ნორმალური განვითარების პერსპექტივებს.

კომუნისტები დღეს 27 წლის ბატონობაში შექმნილ ეკონომიურ მშენებლობით გავწვებიან თავზე, მაგრამ აბა შევადაროთ ის სამი წელი, რომელიც ჩვენ გვქონდა თავისუფალი შემოქმედებისთვის, და იგივე წლები მათი მოღვაწეობის დიდ რუსეთში, და გვითხრან, თუ ჩვენი პატარა საქართველო მზიურ ოაზისათ არ გამოჩნდება იმ ანარქიის უდაბნოში, რომელსაც დამოუკიდებელი და აფორიაქებული რუსეთი წარმოადგენდა? და რატომ შემდეგ უნდა ჩამქრალიყო შემოქმედებითი ენერჯია ქართველი ერის? რატომ იქნებოდა იგი შემდეგში ნაკლებ ნაყოფიერი მოსკოვის დიქტატურასთან შედარებით? მართალია კომუნისტ. ყაზარმულმა (ჩეჩენმა) ზესძლი დიდი აღმშენებლობითი მუშაობის ჩატარება. მაგრამ შესძლია ხალხის შრომის უსაზღვრო და განუკითხავი გაფლანგვით და განისვებით. განთავისუფლებულ საქართველოს, ვფიქრობ, ის მაინც გამოადგება. მანამდე კი... ხალხის კეთილდღეობის თვალსაზრისით თუ შევხედავთ საკითხს—და ეს ხომ ყველასათვის სავალდებუ-



ჩვენი მომავალი \*)

ჩვენი საერთო მიზანია ჩვენი ერის, საქართველოს, განთავისუფლება, რომელიც საგერ უკვე 28 წელია უცხო და სასტიკ უღელშია შებმული და ტანჯვა-ვაებას, ყოველგვარ დაჩაგრვას განიცდის: ეროვნულს, პოლიტიკურსა და სოციალურს.

როგორ და რა გზით არის შესაძლებელი ამ მიზნის (მისი განთავისუფლების) მიღწევა?

ცხადია, მარტო ჩვენ აღარ ვართ დღეს ასეთ მდგომარეობაში; მთელი რიგი ერების, წვრილისა და საშუალოსი, იმავე ბედში არიან ჩოგორც ჩვენ. სანახევროთ ბარბაროსული მტერი დაეფელა აღმოსავლეთისა და საშუალო ევროპის სახელმწიფოებს, უკვე მისაღვა დასავლეთ ევროპის კარსაც და ლამობს შიგ შეიჭრას და იქაც მისი საშინელი დიქტატურა გაამეფოს ხიშტი თუ მისი ლაქია-ამქრების საშუალებით.

ვერც ეხლა და ვერც მომავალში შე არ მაქვს წარმოდგენილი ისეთი გარემოება, რომ მხოლოდ საქართველო განთავისუფლდეს და სხვები კი დარჩენ დაპყრობილნი. არ არსებობს ჩვენ სამშობლოსთვის არც საკმაო შინაგანი და არც გარეშე, უცხო ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი გამოყვანა დღევანდელ მდგომარეობიდან.

\*) იბეჭდება სადესკუსიო წესით, თანახმად „ჩვენი ქვეყ.“ (№ 3) განცხადებისა. რედაქცია.

ლოა—ადვილათ შევამჩნევთ, რომ ეს გიგანტური მრეწველობისა, ხალხის ძვლებზე აგებული, დღესაც მისგან მხოლოდ ახალ მსხვერპლს ითხოვენ, დღესაც მხოლოდ გაჭირვებას, შიმშილს და სიღატაკეს ავრცელებენ თავის გარშემო. დიქტატურის რეჟიმში სხვანაირად არც შეიძლება იყოს...

ჩვენი დამოუკიდებლობის სამ წელში არ შეიძლება ამდენის აგება. ეს უდაოა; მაგრამ რაც კეთდებოდა, ის იყო ხალხის, მას ეკუთვნოდა, მას ემსახურებოდა. მას ქმნიდა თავისუფალთა გენია ერის, ქმნიდა თავისთვის და ამ შემოქმედებაში პოულობდა სიამეს, გრძნობდა სიამაყეს. იყო შრომა თავისუფალი და ჩქეფდა პირველი ნაკადული ხალხის კეთილდღეობის, ხალხი თვით უძლიოდა თავის თავს და აღფრთოვანებული იმედის სხივი უბრწყინავდა თვალებში. ვერ ვიტყვით, თავისუფლება რომ შერჩენოდა, საქართველო მეტს ააშენებდა ვეება ქარხანა - ფაბრიკებს, თუ ნაკლებს; ვფიქრობთ ნაკლებს. პირამიდული მშენებლობა ეგვიპტის

რობიდან.

მამ უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს ბედი ამ ეამათ მჭიდროთ დაკავშირებულია და გადასმულია ყველა დანარჩენ ტანჯულ ერთა ბედზე. თუ ერთმა აიყარა აღვირი და მოიპოვა თავისუფლება ყველა დანარჩენები აღსდებიან—ვინაიდან მათ უკავს საერთო მტერი. მტრის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყვეს და იქნება ერთი და განუყოფელი.

ეხლა კი საკითხი სდგება სად არის ის გზა, როგორია ის საშუალება, რომელია ის ძალა რომელსაც დღეს შეეძლოს დაჩაგრულ ერებს მტერი მოაშოროს და დაკარგული დამოუკიდებლობა კვლავ მოუპოვოს?

გასათვალისწინებელია ორი საშუალება. ერთია გარეშე ძალა, ე. ი. რომი რუსეთთან. ამ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი მას წააგებს, ყველა დაპყრობილი ერები შეეცდებიან თავი ანთი გზა იპოვონ და თავს მოუარონ, თავისი ბედისათვის თვითონ გადაჭრან, როგორც ეს მათ მოეხაზრებათ. მარა თუ ჩვენმა საერთო მტერმა გაიმარჯვა, მაშინ ხომ, არა თუ ჩვენი—შეიძლება ითქვას—მთელი ევროპის, მსოფლიოს ბედიც კი გადაწყდება: ყველანი ჩაიყრებიან ვეებერთელა რუსეთის იმპერიალიზმის ჯოჯოხეთში. მე პირადათ უნდა მოვასხენო მკითხველს,

ფარაონებს უკეთ ეხერხებოდათ. მაგრამ ერთი კი ყოველ ეჭვს გარეშეა: რაც აშენდებოდა, აშენდებოდა ნაკლები მსხვერპლით, ნაკლები ენერჯის დახარჯვით, და მტეტი სარგებლობით ხალხის კეთილდღეობისათვის. და ეს არის მთავარი.

ამიტომ ვამბობთ ჩვენ: 26 მაისმა გაუხსნა იმედის და სიამის კარები ქართველ ერს, მოსკოვის შემოჭრამ ჩაახშო ეს იმედი და სიამე. ამიტომ არის რომ, როდესაც ვიგონებთ 26 მაისს—ვიგონებთ იმ ლამაზ წუთებს, როცა სულ სხვა ქუხილი ჩადგა ძარღვებში და სისხლი მამაპაპურათ აათამაშა! და როცა გვინდა კვლავ გაცოცხლდეს 26 მაისის დიდი იდეები, ამით გვინდა ქართულ გენიას გაუშალოთ გზა თავისუფალ შემოქმედების, ვისხნათ იგი გარშემორტყმულ უცხო არტახებისაგან... ამისთვის ღირს ბრძოლა და მსხვერპლის გაღება!

რ. არსენიძე

P. S. წერილში „ჩვენ და ისინი“ (№ 3, გვ. 5, სტრ. 4) სწერია: „სტალინიში ერთ ქვეყანაში“ უნდა იყოს „სოციალიზმი ერთ ქვეყანაში“.

რ. ა.



რომ—განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში—წინააღმდეგი ვარ ომის და ის ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, რა თქმა უნდა, არასოდეს ის არ მოხდებოდა. მარა დაუშვათ, რომ ეს ომი მოხდა. მერე რა გამოვა აქედან?

მართალია ძველ წარსულში ზოგმა ომმა დააჩქარა პოლიტიკური დადებითი სოცლებები. მარა მომავალში ის ასეთ როლს ვერ ითამაშებს. უკანასკნელმა მსოფლიო ომმა—ჩვენ მისი მოწამენი ვართ—ყოველის მხრით დაასუსტა კაცობრიობა—ყოველ შემთხვევაში ევროპა და აზიის დიდი ნაწილი, მან შთანთქა (განთავისუფლების მაგიერ) რამდენიმე თავისუფალი ერი და გაამაგრა რუსის ნეო კაპიტალისტური იმპერიალიზმი. ზეგალინდელი ომი კი—თუ მას ვერ აცდა კაცობრიობა—ვერავს ვერ „განთავისუფლებს“. ის, ჩვენს ატომის ეპოქაში—იქნება ისეთი სასტიკი, ისეთი საშინელი რამ, რომ ის დააზრებს მთელ მსოფლიოს, შეიწირავს აუარებელ ადამიანის მსხვერპლს (საქართველოსაც მათში), მოსპობს არსებულ ცივილიზაციას მატერიალურს თუ სულიურს და მთელი საუკუნეებით უკან დასწევს კაცობრიობას და მის განვითარებას. მაშ, ომი არ არის სასურველი „საშუალება“ ერთა განთავისუფლების და მე არც მსურს, რომ ისეთ პირობებში, მსოფლიო ხანძარს ანთების საშუალებით ჩემი ქვეყანა „განთავისუფლდეს“.

**მეორე საშუალება?**

ეს არის შინაგანი ძალა, ხალხი და მისი მოძრაობა. დიდი უმეტესობა ყველა ჩაგრულ ერის ტირანულ დამპყრობელის წინააღმდეგი. თვით ერთა საშოში უნდა დაიბადოს დემოკრატიული მოძრაობა. ციხე შიგნიდან გატყდება. უნდა მომზადდეს და შეიქმნას რევოლუციური ორგანიზაციები, შეიქმნას ადგილობრივი თავგანწირულთა ჯგუფები, რომელნიც პროპაგანდის საშუალებით შეაკავშირებენ ხალხს. ყველა ერებში დემოკრატიისა და სოციალურ სამართლიანობის იდეა — მე ვფიქრობ — საკმაო ღრმად გამჯდარია და მის მოპოებას სულით და გულით მოვილიან.

რა უნდა დაუპირდაპირდეს ოკუპანტების დიქტატურას და მის სოციალურ „პროგრამას“? მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმის იდეა და მისი პროგრამა, რომელიც შეიცავს ხალხთა სუვერენობას, დემოკრატიას, ეროვნულ დამოუკიდებლობას, სოციალურ სამართლიანობის დამყარებას. წაედა დრო ყოველგვარ კაპიტალიზმის (კლასიკურის, ფაშისტურის თუ სახელმწიფოერივის, როგორც რუსეთშია) და ბურჟუაზიული

ლიბერალიზმის. შევნებულ და განვითარებულ ერში მათ მომხრე ძლიერ ცოტა ყავს. მაშ, მართო მართო დემოკრატიულ სოციალიზმს დალუქს გახდეს ხალხთა ყოველ მხრივ განთავისუფლების ლოზუნგით.

ერთა ამ გამანთავისუფლებელ ჯგუფთა ცენტრი შეეცდება აგრეთვე მუშაობა გასწიოს საზღვრებს გარეთ, თავისუფალ ქვეყნებში, ევროპა და ამერიკაში ყოველგვარ სასურველ სფეროში: მუშათა ორგანიზაციებში, დემოკრატიულ და სოციალისტურ პარტიებში, „შეერთებულ ერთა ორგანიზაციაში“ (O. N. U.), რომ ამათ თანაგრძობა და სხ. და სხ. გვარის დახმარება მოიპოვონ ბრძოლის საწარმოებლათ. ჩვენ, ისე როგორც ყველა რუსეთის მიერ ჩაგრულ ერებს, მრავალი მეგობრები გვყავს ყოველგან, მსოფლიო დემოკრატია ზიზით შესტყერის რუსის აღვირახსნილ „დიპლომატიას“, მის მოქმედებას, მათ თავზე ხელაღებულ დემაგოგიას. ყველამ უწყის დღეს, თუ რას წარმოადგენს მათ მიერ გამოგონილი „სახალხო დემოკრატია“, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს არც ხალხთან და არც დემოკრატიასთან. ყველამ შეიგნო დღეს, რომ ამ, უკაცრავათ პასუხია, „დემოკრატიით“ რუსეთი ტერორის საშუალებით თავის ბატონობას ამყარებს ხოლმე.

დიქტატურა და ტირანია მუდამ ვერ იმეფებენ, მათი ბედი ერთ დღეს გაქრება, განსაკუთრებით ამ ეამათ, როცა ხალხმა შეიგნო მისი მდგომარეობა. ბოლოსდაბოლოს ვერავითარი ძალა ვერ მოახერხებს შეაჩეროს მშრომელი ხალხის სურვილი და მისი მიღრეკილება, თვით სატრაპების ხიმტებიც კი შედრკებიან და ქედს მოიხრიან მის წინაშე.

გამარჯვება, რა თქმა უნდა, ფატალურათ, მითით არ მოვა, ის მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება. საჭიროა დიდი შრომა, თავგანწირულობა, ნების სიმტკიცე, დიდი უნარის გამოჩენა, ხალხის დაუმრეტელ ენერჯის გამოყენება. მე დარწმუნებული ვარ, ყოველ ერში სუფევს საკმაო ელემენტები, რომელნიც იკისრებენ და შესძლებენ დიდი როლის შესრულებას—ქვეყნის განთავისუფლებას.

**ახალგაზრდა მოხუცი**

**აღმოსავლეთ—დასავლეთის გლოკი და საქართველო**

სიმართლე რომ ვსთქვათ, ჩვენთვის არას დროს არ წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი რაიმე საიდუმლოებას, მამასადამე, არც არსებულა ჩვე-



ნთვის რეინს ფარდა. ჩვენ კარგათ ვიცნობთ საბჭოთა მესვეურებს, მათ ბოროტ ზრახვებს, მათ მიზანს და მეთოდს. ჩვენ წინათ ვიცოდით და ეხლაც ვიცით თუ რა ხდება მათ სამფლობელოში. მათთვის ყოველგვარი საშვალეობა მისაღებად მიზნის მისახწევად, მაინცდამაინც ზნეობა არ უქმნის მათ დიდ დაბრკოლებას. კრემლის მუდმივი ზრუნვა და ცდა წარმოადგენდა მთელი მსოფლიოს ბოლშევიზაციას თუ არა, მოსაზღვრე სახელმწიფოთა გასაბჭოება მაინც, ეს რასც წინეთ მათთვის შეუძლებელი იყო, სამწუხაროთ, ეხლა იმავე დასავლეთ ევროპის დახმარებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აღსრულებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. აღმოსავლეთ ევროპა თითქმის უკლისათ საბჭოთა კავშირის ორბიტში მოექცა.

საბჭოთა კავშირი არ ისაზღვრება მარტო აღმოსავლეთ ევროპით. შემცდარი არის ვინც ფიქრობს, რომ სტალინს თავისთავად სლავიანების გაერთიანება აინტერესებს და მათთვის გერმანიის მომავალი აგრესიობის მოგერიება. მისთვის ეს დროებითი საშვალეობა საბოლოო მიზნის მისახწევად, ე. ი. მსოფლიო რევოლუციისათვის. აზვირთებული ბოლშევიზში უფრო შორს იხადება: მომავალი მსოფლიო კონფლიქტი მისთვის საბედისწეროა და თადარიგს ახლავს იჭერს. საგარეო ურთიერთობაში განმარტოვებული, ის სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიების დახმარებით ცდილობს დასავლეთ ევროპის დამორჩილებას. მთელი ყურადღება მიქცეულია საფრანგეთსა და იტალიაში დემოკრატიულ წესწყობილების დამბობისათვის და იქ კომუნისტურ ხელისუფლების სათავეში მოქცევა მას საშვალეობას მისცემს მთელი ევროპის კონტინენტის უდაო კონტროლისას, მაშინ, რასაკვირველია, ამერიკის კაპიტალიზმი მის წინაშე აღვირვალად წამოიჩიქებს. ამის მოლოდინში სწარმოებს აშკარა თუ ფარული სამზადისი.

სკანდინავიის ქვეყნებშიც არ არის დავიწყებული. იქ ხელისუფლების სათავეში სოციალისტები არიან, მაშასადამე ხედავლენის პოლიტიკა უფრო ელასტიურია: მუშათა წრეებში დემაგოგიური პროპაგანდა, ე. ი. სოციალისტებს ყოველ მხრივ სახელის გატეხა, დიპლომატიური გაფრთხილება, ზოგჯერ აშკარა მუქარაც. მოსკ. გაზეთები: შვეიციას უსაყვედურებს თავდაცვის ზომების მიღებას ამერიკის საიდუმლო რჩევით და დახმარებით. ეს პირდაპირ შაირის მოღებაა: ნუ თუ შევცდით მთავრობას უფლება არა აქვს თავისი ქვეყნის თავდაცვის საქმე ასე მოაწყოს, როგორც ამას მისი ინტერესები მოითხოვს? მათი ბრალდებით სტო-

კპოლში ვაძღა ანტი-საბჭოთა პროპაგანდის ცენტრი, გაზეთები აქვებენ და ამხედრებენ ფინლანდიის რესპუბლიკურ ძალებს მოსკოვის წინააღმდეგ. კიდევ მეტი დანაშაული ჩაუდენია დანიას და ნორვეგიას, მათ უკვე დაუდევიათ საიდუმლო სამხედრო შეღწეკრულება ინგლისამერიკა სთან და დაუთმიათ საზღვაო და საჰაერო ბაზები, აგრეთვე მზით ძრიან მიიღონ მარშალის დახმარების გეგმა. მორალიც ასეთი უნდა! რატომ მაინცდამაინც ყველამ მოსკოვს უნდა შეფიცოს ყმობა, როცა ნამდვილი ეროვნული საფრთხე ყველა ერებისათვის აქედან მოგორავს მათ ჩასაწიქავად.

შორეულ და მახლობელ აღმოსავლეთშიც მადა ვახსნილია კრემლის მპყრობელები. მიზანში ამოღებულია ჩინეთი, პატარა კორეა, სპარსეთი, ოსმალეთი და საბერძნეთი. სწორეთ ბოლშევიკების წყალობითაა, რომ ჩინეთი მუდმივ სამოქალაქო ომის ასპარეზია და აქამდის ვერ შესძლო ერთი ცენტრალური მთავრობის მოწყობა და მყუდრო მშვიდობიანი ცხოვრება. კორეის ხალხს ძველი იაპონიის ბატონობა მონატრა. სპარსეთი და ოსმალეთი შეუწყვეტელ მუქარის და შიმშილ ქვეშ იმყოფებიან. საბერძნეთი სისხლიდან იცლებდა არა ამერიკის იმპერიალისტების მიერ, არამედ აჯანყებულ კომუნისტების მეოხებით, რომელთაც დახმარებას უწყევს ფარულად აგივე საბჭოთა კავშირი.

მეორეს მხრივ სდვას ომში გამარჯვებული ამერიკა. მასთან არის ინგლისი, საფრანგეთი და ყველა ჯერ კიდევ დამოუკიდებელი და თავისუფალი ერები. მასთან არიან აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიერ ეხლახან თუ წინეთ დაპყრობილი ყველა ერების წარმომადგენელი და იბრძვიან თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისათვის. ბოლშევიზმის უშვალეო საფრთხე ამერიკისათვის წინათ არ არსებულა. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა აგენტები ამერიკაში და აქ დასავლეთ ევროპაში მუდმად მოხერხებულ პროპაგანდას აწარმოებენ, ისინი ხალხთა თავისუფლების და დემოკრატიულ წესწყობილების ფალავანდათ გამოდიოდენ. საბჭოთა რუსეთი ცუცხლით და მახვილით შეუდგა აღმოსავლეთ ევროპის ერების გასაბჭოებას, რაც უდრის მათ დამოუკიდებლობის მოსპობას. მოკავშირე ერები საქართო ზავის და მშვიდობიანობის დასამყარებლად ხშირათ ბოლშევიკებთან დათმობაზე მიდიოდენ, ეს სტალინისათვის ხელსაყრელი გახდა აგრესიული პოლიტიკის საწარმოებლად. საზაო ხელშეკრულების დადება გერმანიასთან



შეუძლებელი შეიქმნა. ამ მიზნით მოწვეული ყველა კონფერენციები უშედეგოთ დასთავრდა. რუსეთი ივარიყა და პირველმა წამოიწყო პოლიტიკური, ეკონომიური, და სამხედრო ბლოკის ორგანიზაცია. ამერიკაში და დასავლეთ ევროპაში ამან საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია: ბოლშევიკების სიმბატიების ქრფდითი ძაღზე შემცირდა, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრიც რადიკალურად იცვლება მათ მიმართ. სხვებთან ერთად ამ საქმეში მეტად დიდი როლი ითამაშა პროფესორ ჯექს ზურნამის წიგნმა: „მსოფლიო ბატონობისთვის“. წინათ ის იზიარებდა კომუნისტურ აზრებს. კიდევ თანამშრომლობდა ტროცკის ჟურნალში, შემდეგ ომის განმავლობაში მან კავშირი გასწყვიტა კომუნისტებთან და დასწერა ზემოხსენებული წიგნი, რომელმაც დიდი გამოძახილი ჰპოვა, როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში, მან ნათელყო კომუნისმის მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ, რაც გულისხმობს თანამედროვე ცივილიზაციის მოსპობას, პიროვნების და ერების თავისუფლების გაქვავას.

ჩრდილოეთ ამერიკის მთავრობამ საზოგადოებრივი აზრის შეგავლენით დათმობის პოლიტიკაზე ხელი აიღო და შეუდგა ზომების მიღებას დამპყრობი კომუნისმის შესაჩერებლად; მაშასადამე, დახმარება ყველა იმ მოკავშირე ერებს, რომელნიც ომის დროს მსხვერპლმა საგრძნობლად დაასუსტა ეკონომიურად და სურსათ-სანოვადის სიმცირის გამო ფეხს ადვილად იკიდებს კომუნისტური პროპაგანდა, განსაკუთრებით იტალია-საფრანგეთში, სადაც არჩევნებში გაზრდილი კომუნისტური პარტიები ლაშობენ ხელისუფლების დაპყრობას. აქედან წარმოიშვა მარშალის დახმარების გეგმა, რომელიც გაიზიარა ევროპის თექვსმეტმა სახელმწიფომ. ამას წინააღმდეგა საბჭოთა კავშირი და ამ ფერხულში ჩაიხრია აღმოსავლეთ ევროპის ყველა მისი ფასალური სახელმწიფოები.

დღეს ეს დახმარების და ევროპის ეკონომიურ აღდგენის გეგმა უცვვე რეალიზაციის პერიოდს უახლოვდება: საამისოდ იღება პოლიტიკური და ეკონომიური პაკტები დასავლეთ სახელმწიფოთა შორის. უწინარეს ყოვლისა საქირია ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური სტაბილიზაცია, ამას კი ებრძვიან ადგილობრივი კომუნისტური პარტიები, რომელნიც თანდათან კარგავენ გავლენას მუშათა მასებში, მაგრამ ჯერ კიდევ საგრძნობ ძალას წარმოადგენენ.

დასავლეთის ბლოკი, ისე როგორც აღმოსავლეთის, დღეს უკვე მომხდარი ფაქტია. აქეთ

ამერიკა, იქეთ საბჭოთა კავშირი. ეს ორი ბუტმბერაზი ერთმანეთს დაუპირდაპირდა. მათი ურთიერთ გავლენის სფეროები ერთმანეთს დაემთხვა. საცილობელია არა მარტო ევროპის და აზიის კონტინენტები, არამედ ზღვებიც და ოკეანებიც, როგორც თბილი, ისე ყინულოვანი. ერთ ძალას შეორე ძალა ეჯახება. ომის წინასწარმეტყველებმა ძალიან ძნელია, მაგრამ მისი შესაძლებლობა დასაშვებია.

ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ ძარსებობდა ორგვარი ცივილიზაცია: ცივილიზაცია **მიწისეული**, რომელიც დამყარებული იყო მიწათმფლობელობაზე და რომელიც ფეოდალურ სისტემაში ჩამოყალიბდა. მდინარის ნაპირზე არსებული ვრცელი სახნავი მიწები და მინდვრები ეკუთვნოდა ბატონებს. მიწის დამუშავება მოითხოვდა საქართო ძალღონეს და შეიქმნა კოლექტივიზმი. მიწათმფლობელობა მოითხოვდა ფეოდალის ან და სახელმწიფოს ავტორიტეტს, იძულებით მოშაობის მოწყობას, ყმობას. მეორე ცივილიზაცია იყო — **მდინარისეული**, რაც ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას. ვაჭრობა გულისხმობდა საქონლის გაცვლა-გამოცვლას, მოხერხებას, უნარს, პირად თაოსნობას და ინდივიდუალურ თავისუფლებას. აქედან წარმოიშვა ინდივიდუალიზმი.

თავი რომ დავანებოთ ანტიურ ქვეყნების ისტორიას, რომელიც ამ ორი ცივილიზაციის ერთსახეობას წარმოადგენდა, მდ. ელბა ყოველთვის იყო ისტორიული საზღვარი აღმოსავლეთ ევროპისა. 11-ტე საუკ. მოკიდებული ელბის დასავლეთით იწყება ვაჭრობა, საქონლის გაცვლა, შენდება ქალაქები, მატულობს მცხოვრებთა რიცხვი, ეწევიან სხვადასხვა ხელობას, ამზადებს ბაზარზე გასატან საქონილს; სამაგიროთ მათ სჭირათ სურსათ - სანოვადე, რომელსაც აწოდებს მიწათმფლობელი ფეოდალები. ამან თავისთავად მოითხოვა მიწის ზედმეტი დამუშავება, რამაც გაზარდა მიწის ღირებულება. მებატონენი ანთავისუფლებენ ყმებს, აძლევენ მათ ზჯარით თავიანთ მიწებს, ან ყიდნიან მათზე კერძო საკუთრებათ. ამ რიგათ კაპიტალიზმის განვითარება ანთავისუფლებს პიროვნებას ფეოდალის მონობიდან. ელბის აღმოსავლეთით დასავლეთის კაპიტალისტები ყიდულობენ ხორბალს, აღმოსავლეთის სეკოდალები, რომ ბევრი ხორბლეულობა მოიყვანონ, ისინი თავზე ახვევენ თავიანთ გლეხებს იძულებით მუშაობას. ასევე ყოველთვის თავისებური ფაგება იყო ხალხზე და მის უფლებებზე ელბის აღმოსავლეთ





თით. ელბის დასავლეთით რევოლუცია პიროვნებას ანთავისუფლებს, აღმოსავლეთში ამ თავისუფლებას ანიჭებს თვით სახელმწიფო. დასავლეთით პიროვნების უფლებები სათავეს ღებულობს ხალხის სუვერენიტეტიდან. აღმოსავლეთით—ეს მოდის თვით მეფე—სახელმწიფოდან. დასავლეთში დემოკრატია არის რეჟიმი, სადაც არავის არ უნდა იყვეს ვისმეს მონა, აღმოსავლეთში — „დემოკრატია“ მიზნით ისახავს ყოველი მოქალაქე თანასწორი ყმა გახადოს სახელმწიფოსი.

ივანე მრისხანეს და პეტრე დიდს სურდათ ევროპიული განათლება შემოეტანათ რუსეთში, ეაჭრობა - წარმოება გაეჩაღებიათ, მაგრამ მათ არ ქონდათ არა მარტო ფული, არამედ არ გააჩნდათ არც ბურჟუაზია და არც ხელმძღვანელი კლასი. თვით სახელმწიფომ მოიწადინა ამის განხორციელება მტკიცე ხელით, ე. ი. ძალთ. ეკატერინე მეორემაც დიდი ამაგი დასდო ამ ევროპიულებას. ვოლტერს აღრფთოვანებული იყო რუსეთის ამ განახლებით, ევროპიულ გზაზე შეედგომით, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამან მოითხოვა ფრიალ დიდი მსხვერპლი. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ლენინ-სტალინმაც რუსეთს, ამ ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანას ძალით მოახვიეს კომუნიზმი, რა თქმა უნდა, ზევიდან ტერორით და რეპრესიებით. და ვინ იტყვის დანამდვილებით ამდენი სისხლს გაღების შემდეგ, მართლა შევიდა საბჭოთა კავშირს ხალხები ამ ქვეყნიურ კომინისტურ სამოთხეში? ეს კი დანამდვილებით შევეძლია ვსთქვათ, რომ საიქიოს ბევრი იქნა გასტუმრებული.

ამ რიგით ერთი მხრით დასავლეთ ევროპა მდ. ელბამდის, ამერიკა თავის ატლანტიკის ოკეანეთი, ეს მისი ახალი ხმელთა შუა ზღვა, ახალი რომის იმპერია, მეორეს მხრით მდ. ელბის აღმოსავლეთით თვალუწყდენელი ხმელეთი — საბჭოთა კავშირად წოდებული. ერთის მხრით — ზღვა, თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრებით, ინდივიდუალიზმით, მშვიდობაანი აღებ - მიცემობით, დემოკრატიული რეჟიმიით, მეორეს მხრით—მიწა, ვრცელი სტეპები, კოლექტივიზმი, დიქტატორული რეჟიმი, მონობა, ხალხთა ჩაგვრა და ძალადობა.

ჩვენ ღრმით ვართ დარწმუნებული, რომ ამ ორ რეჟიმს ხანგრძლივით თანაარსებობა არ ძალუძს, სადაც არის ნავსი უნდა გასტყდეს.

ჩვენი არჩევანი ამ ორ ბანაკს შორის არც ისე ძნელია. ჩვენ ყოველთვის ვიყავით ხმელთა შუა

ზღვის კულტურის მოზიარე, განუწყრელი ვიყავით მისი სულიერი შემოქმედებისა, ვაფასებდით თავისუფლებას და კიდევაც ვებრძოდით მისთვის საუკუნოების განმავლობაში. ჩვენი გზა ტრადიციულათ ახლაც აქეთკენ უნდა წარიმართოს. ეს ისტორიული აუცილებლობაა, ჩვენ მას ვერ გავუქცევით. ერის თავისუფლებისათვის ბრძოლა უწინარეს ყოვლისა მოითხოვს მტკიცე ნებისყოფას, გაერთიანებას, ეროვნულ დისციპლინას. ეს გაერთიანება და პოლიტიკური მოქმედება, ირახედაც ლაპარაკობენ ბ. ბ. სპ. კედია და გრ. ურატაძე რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს, ამას გვავალებს ჩვენი ქვეყნის და საერთაშორისო მდგომარეობა. რომ წარსულის შეცდომები ავიცილოთ და ცხა არ გაეხსნას ზოგიერთ პიროვნულ უპასუხისმგებლობას, ახლავე უნდა შესდგეს ერთი ეროვნული ცენტრი. ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა შევსძლოთ, საქართველოს საკითხის დაყენება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე. ჩვენ გვაქვს უფლება ყველგან ვეძიოთ დახმარება ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის.

ბ. კირაქაძე

### ვიზრაცია და მისი მოვალეობა

#### III

ევროპის აფორიაქებული სულიერი განწყობილება გრძელდება. ბუდიდან ზმოგარდნილი ცხოვრება ისევ ზედა პირზე ბობოქრობს და აქეთ-იქით ეხეთქება. ყოველივე ამასათან დაკავშირებით ბევრს ახალი ომი კარზე მომდგარი გონია. ზოგს, უეჭველია, უნდა კიდევ რომ ის მოხდეს, ზოგს ეჩვენება, ზოგიც კიდევ ნაკლებათ ერკვევა შექმნილ მდგომარეობაში და გულწრფელად სჯერა. სინამდვილეში კი ცხადია ერთი: არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი ქვეყანა, ისეთი ხალხი, რომელსაც ოთხი წლის შემდეგ ისეთი საშინელი ომისა, რომელიც ვანიცადა მსოფლიომ—უნდოდეს და სურვილი ჰქონდეს მისი ისევ განახლების. ამიტომ შეუძლებელია ფიქრიც კი იმაზე, რომ რომელიმე დემოკრატიული ქვეყანა, სადაც მთავრობა ვალდებულია ანგარიში გაუწიოს თავის ხალხის ნება-სურვილს—გახდეს ახალი ომის წამომწყები, მისი ინიციატორი. აგრესორი, თაიდა-მსხმელი, ომის წამომწყები შეიძლება იქნეს მხოლოდ და მხოლოდ დესპოტური სახელმწიფო, მხოლოდ და მხოლოდ დიქტატურა.

ასე იყო წარსულ ომშიც. მაშინ ომი დაიწყო პიტლერმა. ახლა კი მისი დამწყები იქნება საბჭო-



თა რუსეთი. მისი მომავალი მოწინააღმდეგენი გრძნობენ ამას და შესაფერ კიდაროვს უღდებია და რამდენათ უკეთ მოეწყობიან, რამდენათ უფრო გაძლიერდებიან, იმდენათ ომის საშიშროება თანდათან დაგვიწირდება და ბოლოს, შეიძლება, აცოლებულიც იქნეს. გასულ ომში ჰიტლერს ჰქონდა იმედი რომ ინგლის-საფრანგეთი მას პოლონეთისთვის ომს არ გამოუტყდადებდნენ. ახლა კი ასეთი ილიუზია ისტალინს აღარ შეიძლება ჰქონდეს. ის იზნადება, რომელიც ხდება ევროპაში და ამერიკაში ჩინიის „დაპყრობის“ შემდეგ—გვადლოვს საბუთს ვიფიქროთ, რომ ომი კი არ გვიახლოვდება, არამედ თანდათან უკან იხვეს. მაგრამ ამით ომის საშიშროება კი არ ქრება, ის მუდამ იქნება, სანამ არ დაეწიება საბჭოთა რეჟიმი და იქ არ დაშვიდრდება ისეთი ხელისუფლება, რომელიც დაინტერესებული იქნება არა დანგრევაში, არამედ მსოფლიოს უკეთ მოწყობაში. დასავლეთ ევროპის დემოკრატიის ხელმძღვანელებმა დღემდის ვერ გაიგეს ეს, ან გაიგეს, მარა ვერ შეითვისეს. დღეს, მადლობა ღმერთს, ეს თითქოს გაგებულაცაა და შეთვსებულიც. და ამ შეგებებიდან წარმოიშვა ის მტკიცე და ურყევე სურვილი, რომ საბ. კავშირს თავის ადგილი უჩვენონ...

ამ დღე ამბების მოლოდინში, ჩვენი ემიგრაციის მოვალეობა იყო ეზრუნა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებე ყოველ-მხრივით და მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული და უზრუნველყოფილი. ჩვენი ემიგრაციის იდეური სიმართლე თითქოს სრული გარანტია იყო იმის, რომ ის ყოველგვარ კრიტიკულ მომენტში შესძლებდა გამოეხატა კონკრეტულ ფორმებში ჩვენი ხალხის ქვეყნობა იდეალები და მისწრაფებანი. სამწუხაროთ, ეს აღარ აღმოჩნდა და სწორეთ იმ დროს შევიქენით უმწეონი, დაუინტერესებელნი და უმოქმედონი, როცა ასე საჭირო იყო ჩვენი

ხმა, ჩვენი ცოდნა, ჩვენი გამოცდილება. პოლიტიკური მთლიანობა—ერთობა სწორეთ ისეთ მომენტში აღმოჩნდა მოშლილი, როცა ასე საჭირო იყო მისი ამოძრავება, მისი ამოქმედება. ემიგრაციას აქტიური და კრიტიკულათ მოაზროვნე ნაწილი—სწორეთ ახლა განიარაღდა. ერთ ადგილას ტყეხნა და შორიდან მასურებლის როლში ყოფნა, რაც ასე უჩვეულო და გაუგებარი იყო ჩვენთვის—ახლა დიდ პოლიტიკურ სიბრძნეთ არის აღიარებული. სიძლიერე აზრის და ნებისყოფის მოულოდნელათ შეირყა და გული გიკვდება, როცა ხედავ რომ ყველა ფაცი-ფუცობს, ეძებს გამოსავალს, ეძებს გზებს თავის ქვეყნის უფლებების აღდგენა-მოპოვებისათვის, ეძებს მეგობრებს, ეძებს თანამეგრძობთ, რომ საერთო საქმიანობის გარეშე არ დაჩრეს და მით თავის საზოგადოებრივი ვალი მოიხადოს თავის ქვეყნის და თავის ხალხის მიმართ. და ჩვენ? ჩვენ კი ვზივარით ზღვის პირათ და უცდით გამოდარებას...

მდორე ტბას მუდამ ლორწო მოედება ხოლმე და რატომ უნდა გაუკვირდეს ვინმეს რომ ასეთ მდგომარეობაში თავი იჩინოს სხვადასხვა ავანტიურამ. უბატრონო ეკლესიას ეწმაცები დაებატრონაო—ნათქვამია. ასეთი „ეწმაცები“ მუდამ აყენენ, არიან და იქნებიან. და ეს არც გასაკვირია. გასაკვირია „ეკლესიის უბატრონოთ“ დატოვება და თუ ჩვენს ემიგრაციას ოდესმე რაიმე პასუხი მოეთხოვება—პირველ ყოვლისა სწორეთ ამისთვის.

ეს სუ—ს პოლიტიკა არას დროს არ ყოფილა ჩვენი პოლიტიკა, მით უმეტეს არ შეიძლება იყოს დღეს. გასაგებია და ბუნებრივიცაა როცა ლაპარაკია სიფრთხილეზე, როცა ანგარიშს უწყვენ ჩვენი ქვეყნისათვის მართლაც საშიშ მდგომარეობას, მარა აქედან იმ დასკვნის გაკეთება რომ უნდა ვიჯდეთ გულზე ხელდაკრეფილი და უყურით შორიდან თუ რა ბედი ეწევა მას მოსალო-

**ჩვენი ქვეყნისათვის**

ჩვენი შურნალი არსებობს საზოგადოების მორალური თანაგრძნობით და მატერიალური დახმარებით. მას სხვა არავითარი სახსარი არ მოეპოვება. დღემდე საზოგადოების თანაგრძნობა საშვალებას გვაძლევდა შურნალი გამოსულიყო სისტემატიურად. მომავალშიც ჩვენ ამ საზოგადოების იმედით ვაპირებთ საქმის გაგრძელებას, დარწმუნებული რომ ემიგრაციისთვის ერთი ასეთი თავისუფალი ორგანო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ამ მოკლე დროში შურნალს ყოველგვან გაუჩნდა თანამშრომლები და კორესპოდენტები, რაც მოითხოვს შურნალის გაფართოებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ საზოგადოება მატერიალური დახმარებით ხელს შეგვიწყობს გავაგრძელოთ შურნალის გამოცემა სისტემატიურათ და თან გავადიდოთ.

გსთხოვთ ყველას, ვინც ამ ჩვენს გამოცემას თანაუგრძნობს თავიანთი წვლილი მოგვაწოდონ შემდეგი მისამართით: Mr Ouratadze, 44, Bd Port-Royal, 44, Paris (5).





დნელ ორომტორიალში—პირდაპირ გაუგებარი და მიუღებელია. პირიქით, რამდენათ მეტია სი-  
რთულე, იმდენათ მეტი ყურადღება და ზრუნვაა  
საჭირო, რომ ყოველგვარი საფრთხე მინიმუმამდე  
იქნეს დაყვანილი.

სამწუხაროთ, ემჩნევა რომ ჩვენს ემიგრაციაში  
ამ სულს პოლიტიკას არც ისე ცოტა მომხრე  
ჰყავს, იმ იდეასხვაებით, რომ ზოგი ამას ამჟამათ  
ამბობს და იცავს, ზოგი კი კდილობს დამალოს  
სხვადასხვა „მაღალ მატერიებზე“ მასლათით.  
ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაც ამ 25 წლის გა-  
ნმავლობაში ნათელი და ადვილათ გასაგები იყო  
და არც არავითარ გაუგებრობას არ იწვევდა—  
დღეს გაუგებარი და მიუღებელი ხდება და ეს  
ამჟამა დამახასიათებელია იმ ღრმა კრიზისის,  
რომელსაც დღეს ქართული ემიგრაცია განიცდის.  
და რომ აქა-იქ არ გამოჩენილიყვნენ ზოგიერთე-  
ბი რომლებიც, მათდა სასახელოთ, „ჩვენებურათ,  
ძველებურათ“ განაგრძობენ პოლიტიკურ მუშა-  
ობას—ჩვენი ემიგრაციისათვის დიდი ხანია წესი-  
უნდა აგვეგო.

ასეთი „მანტაღიტეს“ შედეგია ისიც რომ ემი-  
გრაციაში დღემდის ვერ შესძლო საერთო მოქმე-  
დების მოწესრიგება. მოსალოდნელი იყო რომ  
იდეური ჯგუფები ამ საერთო მოქმედების მო-  
წყობის საკითხს დღევანდელ პირობებში თავის  
უპირველეს მოვალეობათ ჩაათვლიდნენ. მოსალო-  
დნელი იყო... მაგრამ, სამწუხაროთ, დღემდე  
ასეთი მოწოდებას ძალიან სუსტი გამოძახილი აქვს.

უნდა ვიცოდეთ, რომ იმ გიგანტურ ბრძოლაში,  
რომელიც გამოიწვია საბჭოთა რუსეთის ხეობე-  
ლმა და უგუხურმა პოლიტიკამ—დიქტატურა გა-  
მარჯვებული ვერ გამოვა. დღეს არც ის შეიძლე-  
ბა წარმოვიდგინოთ რომ ეს ბრძოლა დათავდეს  
მანამდე, სანამ არ დაემხო საბჭოთა რეჟიმი.  
ამ დროისთვის კი ყველა საჭირო პოზიციები წინ  
და წინ უნდა იყოს გათვალისწინებული, მომარა-  
გებული და დამსხლქებული. ამისთვის საჭიროა  
ყოველდღიური და ყოველ მხარე პოლიტიკური  
მუშაობა და საქმიანობა. მართალია დავიგვიანეთ,  
მარა ჯერ კიდევ გვაქვს დრო რომ ძველებურათ  
დავიარსოთ დამპყრობელის წინააღმდეგ. ნუ  
დავივიწყებთ რომ მეორეთ ასეთი შემთხვევა  
ჩვენს ემიგრაციას აღარ ექნება... **გრ. ურატაძე**

**მაისის აჩრდილები**

„არც სიცოცხლის, არც სიკვდილის  
ალარა მაქვს ხალისი  
თებერვალმა დამიზამთრა  
სამუდამოთ მაისი.“  
კოტე მაყაშვილი

ქართველმა ხალხმა, თავის ჭალარა ისტორი-  
აში შექმნა განსაკუთრებული სიყვარული თვე  
მაისისადმი.

საზოგადოთ მსოფლიო და კერძოთ ქართულ  
მითოლოგიაში განმტკიცდა აზრი რომ არსე-  
ბობს ორი ძალა: სიკეთე და ბოროტება. ეს ორი  
ძალა მუდამ ერთმანეთს ებრძვის.

ქართულ მითოლოგიაში ბოროტების განსა-  
ხიერება ზამთარი იყო. სიკეთისა კი ზაფხული.  
ზამთარი და ზაფხული ერთმანეთს ებრძოდნენ.  
ხალხის წარმოდგენაში მათი ბრძოლა მაისში  
დამთავრდა. მაისში გაიმარჯვა ზაფხულმა, ე. ი.  
სიკეთემ და დამარცხდა ზამთარი ე. ი. ბორო-  
ტება.

გამარჯვებული ერი დიდ ზეიმით დღესა-  
სწაულობდა სიკეთის გამარჯვებას, მაისობას,  
და გამარჯვების გვირგვინს მრავალ ფეროვანი  
ვარდ-ყვავილებით ქარგავდა.

აქედან მაისის ისტორიული თვეა, ხალხის სა-  
ყვარელი, რომელსაც აღრფთოვანებით მოე-  
ლოდნენ. არც ერთ თვეში ქართველ ხალხს არა  
ჰქონია იმდენი დღესასწაულები და უქმეები რა-  
მდენიც მაისში.

გონების თვალთ წარმოდგენილი ისტორი-  
ული მაისი, გვიხატავს ძველ საქართველოს მთე-  
ლი თავისი დიდებულებით. ქალაქებს და სო-  
ფლებს ზეიმით გატაცებულს, ბედნიერებით და-  
მთვრალს, გამარჯვებით გალაღებულს.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო ტფილი-  
სის მაისობა, რომელსაც უკანასკნელ საუ-  
კუნემდე ამქარი აწყობდა: დროშებით, ღიბი-  
ნათა და ჯიროთით. ნიკოლოზ ბარათაშვილის  
საყვარელი გასართობი ყაბახიც ხომ მაისში იმა-  
რებოდა.

მაისის ღამე იყო წარსული ამბების ამტყვე-  
ლება, მაისის დღე იყო გამარჯვების თამაში გა-  
ნცდა.

ჩვენ დრომდე შემონახული მაისის უქმეები გა-  
ნსაკუთრებული შესწავლის ღირსია. მათი სა-  
თვე ქართულ მითოსში იმალება.

მაინც და მაინც ისმება საკითხი: ხალხი რომ  
ზაფხულის გამარჯვებას ასეთი აღრფთოვანე-  
ბით ეგებებოდა, რომელი ღვთაება იყო სიკეთის

**სამოქალაქო პანაშვილი:** კვირას, 20 ივნისს,  
პერლანშენის სასაფლაოზე გადახდილი იქნა სა-  
მოქალაქო პანაშვილი კ. ჩხეიძის გარდაცვალების  
წლის თავზე. სიტყვები წარმოსთქვეს ბ. ბ. ნ.  
ცინცაძემ, ვ. ჩუბინიძემ და ვლ. ქმუხვაჩიამ.



განსახიერება? სიკეთე ძალი იყო, რომელიც ბოროტებას ებრძოდა, მაგრამ ვის ეცუთვნოდა ეს ძალი სიკეთე, რომელიც სიბოროთი და სინათლით ამარცხებდა სიცოცხესა და სიბნელეს?

ქართულ სიტყვა კანონულ ვადმოცემას დღემდე შემოუნახავს ასეთი წარმართული თქმა:

„მზის კურთხევა ჩვენს ქვეყანას“. შემდეგ სისიმღერა „მზეც შინა და მზეც გარეთა“, რომელიც ლოცვა უნდა ყოფილიყო და ჩვენამდე მოვიდა ათასჯერ გადაკეთებული სახით, როგორც ლექსის შინაარსი ისე მუსიკალური გაფორმება.

ასეთი თქმულებები გვაფიქრებინებს: შეიძლება მზე იყო ეს ღვთაება, როგორც სითბოსა, სიცოცხლისა და სიხარულის წყარო, ზამთარისა, სიყვდილისა და ბოროტების წინააღმდეგ.

მზის გამარჯვებას ხალხი დღესასწაულობდა ერთი თვის, მაისის, განმავლობაში. ამნაირად მაისი მთელი თვე შეწირული ჰქონდა მზეს; მაისი მზის საკუთრებათ ითვლებოდა ისე, როგორც წმ. გიორგის 365 დღე წელიწადში. ხალხი უკანასკნელ დრომდე ემშაკულებს (ქაჯებს, ჭინკებს, კუდიანებს და სხვა მავნე ძალებს) წმინდა გიორგის სახელით ებრძოდა: და გწყველა სამას სამოც და ხუთმა წმინდა გიორგიმთა.

ქართულ მითოლოგიაში მზე ქალია, დედრობითი სქესის გამოსახულება. გაიხსენეთ ძველი ქართული ხალხური ლექსი. მზე ამბობს: „მე და ვარ და ის (მთვარე) ძმა არის, რად ვძულდებით ერთმანეთსა.“ ამასთან ერთად ჩვენში, განსაკუთრებით მითოლოგთში შემონახული სახელები „პირიმზე“, „პირა მზისა“, „მზთა“ ქალთა სახელებია.

განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებენ ფშაველებს და ხევსურები, აგრეთვე მოხვედებიც: „თამარ პირი მზეს“, რომელიც იხსენიება, როგორც ღვთაება.

მწერალი ალექსანდრე ყაზბეგის რომანებში, წარმართული მღვდელთ მსახურების ნაშეირი დეკანოზი, „თამარ პირი მზეს იხსენიებს სხვა წარმართულ და ქრისტიანულ ღვთაებათა შორის. მაგალითად „მოძღვარში“ და სხვაგან

„პირიმზე“ ან „თამარ პირი მზე“ უნდა იყოს ის ღვთაება, რომელიც მზის სინათლით ან მის შემცვლელად ითვლებოდა და რომელსაც, საფიქრებელია, ერთ დროს პირველი ადგილი ეჭირა წარმართულ ღვთაებათა შორის.

ის იყო სათნოების გამომხატველი ღვთაება, რადგან მისი თვე მაისი, ვარდ ყვავილების, სი-

კეთის და სიწმინდის თვეა. აქედან სიფაქიზე უმანკოება და ბედნიერების სიმბოლო.

საქართველო ხომ ვარდ-ყვავილების ქვეყანაა, მაისი ვარდების თვე და ბედნიერების ემბლემა. თამარი უკვდავი შარვანდელი საქართველოს ბედნიერებისა და ძლიერების სახე. მაისი თამარის თვეა, თამარი სიფაქიზისა და სათნოების შეჯვარებაა. აქედან მაისი ბედნიერი თვეა და სიხარულის წყარო.

ჩვენს დროში მაისი მთელი თავისი დიდებულებით აღიშართა 1918 წელს, როცა სიკეთემ ბოროტება დაამარცხა და უდანაშაულო „მიჯაჭულმა ამირანმა“, 100 წლოვანი მონობის ბორკილები დაეამსხვრია და თავისუფლების დროშა კავკასიონის მწვერვალზე აღმართა.

ასი წლის მონობამ, რომელიც სავსე იყო მოუსვენრობით, აჯანყებებით და მოძრაობებით რუსეთის წინააღმდეგ და რომელიც მუდამ მხრცხით თავდებოდა უთანასწორო ბრძოლაში, ხალხს გული გაუტეხა და მომავალმა თალები ჩააცვა. მალე ქართველ ხალხს ჩრდილოეთიდან გადაგვარების ნისლი წამოეფარა.

როგორც ყოველთვის განსაცდელის დროს, ქართულმა მწერლობამ ითავა და მიზნათ დაისახა გადაგვარების გზაზე ხალხის გამოფხიზლება. ქართულმა მწერლობამ აანთო ნუგუმის ლამპარი და იმედ-დაკარგულ ხალხს აკაკი წრეთელის პირობით გადასძახა:

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს.  
ვინც შენატრის იმის სიკვდილს უმაღლ მასვე დაამეწებს.

ამ ხანაში დაიბადა და აღორძინდა პატრიოტული პოეზია და პროზა, რომელიც სულიერ საგანძურათ შენახულია ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

საზოგადოთ მწერლობა და განსაკუთრებით პოეზია, ერის გრძნობათა კრებადობის საარკვა. ქვეყნის სიხარული თუ ჭირ-ვარაში ვარკვეულ სურათებათ გამოილია ეპოქალურ მწერლობაში.

მაშინდელმა მწერლობამ შესძლო ჩვენთვის გადმოეცა თავისი შრომით შექმნილი სულიერი განძი და ამით მოამზადა ნადავგი 26 მაისისათვის (1918 წ.), რომელსაც სამწუხაროთ უმრავლესობა ვერ მოესწრო და ვერ ნახა სანატრელი თავისუფალი სამშობლოს გაბედნიერება.

მათი მომდევნო მწერლები 26 მაისს უსაზღვრო სიხარულით შეხვდნენ. მათი სიხარული და თავისუფლებით გატაცება დაავიკრიგინა





ცნობილმა მოღვაწემ შიო მღვიმელმა თავის ძვირფას ლექსში:

**ჩემი ბავი**

მწვენიერი მქონდა ბავი, მაგრამ იყო მოუფლელი ზედ არავინ მაკარებდა, მუშაობდა სხვისი ხელი. ბატონობდა შიგ ეკალი, შამბი, ქალა, ხვართქლა, ლელი.

ნელცოფა და ცუცუმყარა სხვაც რამ ბევრი უღვევლი.

წარა-მარა მეპატრონე: ტურა, მარვი, მგელი, მელა,

თრითინადან დაწყებული — თხუნელა და ჭიანჭველა.

ფრინველები: ბუ და ჭოტი, მიკოტი, ყვავი, ძვრს,

ერთი სიტყვით ყველა მავნე, ორპერი და გაიძვერა,

მაგრამ დაჰკრა ბედის ზარმა, მოვიკრიფე ღონე, ძალა,

სანამ დაუტანებდი, ყველა თავად მიიმალა. ეხლა უფლი ჩემს ბაღს თავად და აღარ მაქვს მოუფლელი.

ისე ტურფად ვაკობტავებ, ისე უფლი შიგ ყვავილებს,

როგორც ჩემ ღვიძლ სისხლსა და ხორცს, როგორც დედა თავის შვილებს.

და იცით რა ბავი მაქვს დღეს? დიდებული მწვენიერი!

ჩემ ლამაზ ბაღს დარაჯად ყავს: ჩემი გულის ქორფა ერი.

ვინც ჩემ ბაღს არ მპატრონა, დღეს სწულხან და ინანიან,

და მე კი ჩემს ტურფა ბაღში, ყვავილები მიცინიან.

**შიო მღვიმელი**

„ხედავცა ჩემო სოფელი რა სიხე საქმეთა მქნელია!

რაზომცა ნათობს ნათელი, ჩემთვის ეგეცა ბნელია.

ბრძენნი იცნობენ სწუნობენ, მით მათგან საწუნელია.

უშენოთ ჩემი სიცოცხლე ვაძმე რა დიდი ძნელია.“

(ნესტან დარეჯანის წერილი ქაჯეთის ციხიდან)

უკვდავი მგოსნის, რუსთაველის, საუკუნეთა მანძილზე მჭეხარე სტრიქონებმა, რომლიც ქართველ შემეცნებაში, საუკუნეთა მანძილზე, ასაზრდოებდა ერის სულიერ კულტურის მესვეურებს, დღეს უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, ისტორიულად, ქართველი დააფიქრა და ქვე-

ყნის სინამდვილე თავისი სისასტიკით დაუხატა. არსებობს მსგავსება საკვირველი, ქაჯეთის ციხეში ტყვეთ ქმნილი ნესტანდარეჯანის და რუსეთის ციხეში მომწყვდეულ საქართველოს შორის.

ორივეს ერთნაირი განცდები აწუხებთ. დღეს, როცა 1948 წლის 26 მაისს ვეგებებით, ყოველი ქართველი ამ დიდ ზეიმს ნესტან დარეჯანის განცდით მოელის.

ქაჯეთის ციხის მრისხანე მპყრობელი გაცილებით უფრო სასტიკი გამოდგა, ვიდრე რომანოვების სისხლიანი დინასტია.

თუ ძველად ქართულ ლიტერატურის მოღვაწეთ გამონახეს საზვალეობა ხალხში შემოეტანათ პატრიოტული მოტივები, დღევანდელ ქაჯეთის ციხეში ესეც შეუძლებელია.

აუტანელ ტანჯვასა და წამების მოლოდინში ქართულმა პოეზიამ უკვდავი დასურათებით დახატა თანადროულობა მომავალი ისტორიისათვის.

სამშობლოს საკურთხეველს მსხვერპლათ შეწირენ ქართველი გმირები, მწერლები და პოეტები. სამწუხაროა რომ მათ არ დასცალდათ თავისუფალ საქართველოში გაქმალათ ფრთები და განეცადათ განთავისუფლებულ ქვეყანაში თავიანთი სურვილების ამღერება.

ქართულმა მწერლობამ, რომ მსხვერპლი გაიღო—ეს მსხვერპლი მომავალი თავისუფლების საწინდარია.

მწერალთა წინამძღოლმა და მედროშემ, რომელსაც წამების გვირგვინი არგუნა ჩვენმა საუკუნემ, ასეთი ანდერძი დაგვიტოვა: „მთელი ქვეყანაც რომ დაინგრეს ნუ იდარდებთ, რადგან პირველი ბერთვი სიხარული მოკლე ხანში ახალსაც ააშენებს.“

1948 წლის 26 მაისს ვეგებებით ნესტან დარეჯანის ბედში და გვაიმედებს ახალი აღთქმა: მრავალ ტანჯული ქვეყანა, რომელსაც ბევრჯერ უნახავს ჟამთა სიავე და გამარჯვებულნი ვამოსულა ახალ ჟამთა სიავესაც დასძლევს ქართული გამძლეობა და „პირველი ბერთვი სიხარული“ ბრწყინვალეებით ამასიქდება. **ნაიბი**

**სალაში „ჩვენი ქვეყანა“-ს**

1939 წლიდან—ეს არის პირველათ ვკითხულობ ქართულ გაზეთს იმიგრაციაში. წინეთ მრავალი ყურნალ-გაზეთები იცემოდა, მაგრამ არც ერთ მათგანს, გულწრფელათ ვაღიარებ, არ გამოუწვევია ჩემში (ქუთაისი არა მარტო ჩემში)



ისეთი კმაყოფილება, როგორც ამ ჟურნალმა. რატომ? პირველად იმიტომ რომ ეს ჟურნალი არ არის კუთვნილება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, არამედ ის არის ორგანო მთლიანად ქართულ ემიგრაციის და მეორეც იმიტომ, რომ ეს ჟურნალი ისახავს მიზნათ (და ემზნევა კიდევ რომ შუასრულებს) დაუნდობელი ბრძოლის წარმოებას ჩვენი ქვეყნის დამპყრობელთა წინააღმდეგ.

ქართულმა ემიგრაციამ, მართალია, ცოტა წაიბოროტა, მაგრამ მისი ღირსება და მნიშვნელობა უთუოდ შეუღახავია და მისი მიზანიც უცვლელი და ყოველთვის ცოცხალი რჩება.

ჩვენი მიზნის დაწვრილებით დახასიათებას მერც ვკისრულობ და არც შემოიძლია; მე უბრალო ჯარის კაცი ვარ ამ დიდი საქმის სამსახურში. მაგრამ ერთი ვიცი, მარად მეცოდინება და ყოველთვის, ვიდრე ცოცხალი ვარ—სიფაქიზით და იღუმალი სიყვარულით ვატარებ ჩემს გულში, ქართველი ერის ურყევ ნების ყოფას, — „ალიდგინოს მისი თავისუფლება და დამოუკიდებელი არსებობა“.

ეს ჟურნალი სწორედ ქართველი ერის ამ საბატო მიზანს ემსახურება და დროებით დაბლა დაშვებული ბრძოლის დროშა კვლავ აღმართა, დასახა იმედი მომავლის და განაცხოველა მიმქრალი ცეცხლი.

იდეალი, რომელსაც ეს ჟურნალი ემსახურება, არის იდეალი, რომელსაც ყოველი პატიოსანი ლტოლვილი, პოლიტიკური დევნილი, განუჩრჩველათ პარტიული მიმართულებებისა ეტრფის და მით აერთიანებს ერთ სამფეროვან დროშის ქვეშ.

ჟურნალის მიერ არჩეული გზა უდავოდ ეკლიანია, დაკავშირებულია მრავალ დაბრკოლებებთან და გაჭივრებასთან, მაგრამ იმავე დროს ეს არის ერთათერთი გზა ჩვენს მიერ გასაღული, გზა სამართლიანობის და თავისუფლების აღმდგენი.

აბა რომელ ერს აქვს ისეთი მდიდარი ისტორია დიდებისა, ტანჯვისა და წამებისა, ან ვის გააჩნია იმდენი სახელოვანი გმირები და თავდადებული პატრიოტები, როგორც ჩვენს საყვარელ ქვეყანას? განა ჩვენი არ არის თქმულება— „მკვდარს ტირილი ვერ მოაჩვენს, შველა უნდა მომავალს“, ან კიდევ დიდებული შოთას დაწერილი— „სჯობს სიცოცხლესა ნაძრასსა, სიკვდილი სახელოვანი.“?

დღესაც ამას იმეორებს იქ ქართველი ერი და ვიმეორებთ ჩვენც აქ, მისი შვილები. ჩვენ არ გვეშინია სინამდვილის, ვიცით, ვგრძნობთ, მძიმეა ჩვენი ტანჯვა, მაგრამ ის ხომ ამ ყმათ ხვედრია ჩვენი ქვეყნის და ამიტომაც ჩვენთვის ადვილათ ასატანია. ვიცით ისიც რომ არასოდეს ჩვენი საქმე ისე იმედინათ არ ყოფილა, როგორც არის დღეს.

ესლა ყველასათვის გარკვეულათ ორი ძალია დაპირისპირებული: სამართლიანობისა და უსამართლობის, სათნოებისა და სიბოროტის და თუ ჩვენი გზა სწორია და სამართლიანი, (რაც დავას არ ეწვევს) ჩვენი ბედიც უთუოდ ამ ძალითა ქიდილში გადაწყდება და გადაწყდება ჩვენდა სასარგებლოთ...

ვ. დოლიძე

26 მაისის დღესასწაული

26 მაისის დღესასწაულია აღსანიშნავათ პარიზის ქართულმა კოლონიის გამგეობამ მოაწყო მშენიერი საღამო. საღამოს თითქმის მთელი კოლონია დაესწრო. ყვენენ სტუმრებიც, გამგეობის თავმჯდომარე შ. სკამკოჩაშვილმა ქართულათ, ხოლო გამგეობის წევრმა დ. ჯაფარიძემ ფრანგულათ, წარმოსთქვეს სიტყვები 26 მაისის მნიშვნელობაზე ქართველი ერის ცხოვრებაში, მის დაკარგვაზე და მის აღსადგენათ გაწეულ ბრძოლა - მუშაობაზე.

იოსებ სალაყაიას ნეშტის გადმოსვენება.

იოსებ სალაყაია, რომელმაც თავი მოიკლა გერმანელების შემოსვლისას, დასაფლავებული იყო ქალაქ ანეში. კვირას, 13 ივნისს, მისი ნეშტი გადმოსვენებული და დასაფლავებული იქნა ლევილის სასაფლაოზე. დასაფლავებაზე სიტყვები წარმოსთქვეს: ბ. ბ. კ. გვარჯალაძემ, პ. სარჯვალაძემ, გ. ბოლქვაძემ და ლ. ემუხვაძემ. ნექროლოგი დაიბეჭდება შემდეგ ეომურში.

სამადლობელი წერილი

ბ. რედაქტორო! ნება მცბოდეთ თქვენი პატივცემული ჟურნალის „ჩვენი ქვეყანა“-ს საშვალეობით უღრმესი მადლობა უძღვნათ ყველა იმათ, ვინც სიტყვიერათ თუ წერილობით სამხმარე გამოგვიცხადა ჩვენი დედისა და სიძის შვილით ტრალიკულათ დაღუპვის გამო.

პატივისცემით ვალერიან და ვიქტორია ახვლედიანები.